ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

12/01/10-02

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 10 იანვარი 2012 წ.

ერთის მხრივ, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ირინა მილორავას სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და, მეორეს მხრივ, შპს „ლოჯიქალ სისტემზ კომპანი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის თეიმურაზ მიხანაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“) ვმოქმედებთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 1.2. პუნქტში აღნიშნული შესყიდვის ობიექტი.
1.2. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს "შემსყიდველის" მიერ „მიმწოდებლისაგან“ შესასვლელი/შესვლის (საშვი) ბარათის შესყიდვა (CPV 22457000).

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.
2.2. 1 (ერთი)შესასვლელი/შესვლის (საშვი) ბარათის ღირებულება შეადგენს 5 (ხუთი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.
2.3. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება ხელშეკრულების მოქმედების ვადაში შეადგენს არა უმეტეს 118.00 (ასთვრამეტი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.
2.4. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

3. შესყიდვის ობიეტის ხარისხი და გარანტია

3.1. „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი იქნება მაღალი დონის.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების საერთო ვადა განისაზღვრება 2012 წლის 10 იანვრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში 7.4.1. მუხლით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2, მე-5 სართული.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება „შემსყიდველის“ და „მიმწოდებლის“ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
6.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
6.3. „შემსყიდველის“ მიერ „მიმწოდებლისათვის“ ანაზღაურება მოხდება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ 5 საბანკო დღის განმავლობაში
6.4. ანაზღაურების ადგილია ქ. თბილისი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.2.1. შეკვეთის დროს აცნობოს „მიმწოდებელს“ (ელექტრონული ფოსტა) საშვების რაოდენობა, პიროვნებების მონაცემები (სახელი , გვარი, თანამდებობა, საშვის მოქმედების ვადა)
7.2.2. მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
7.2.3. უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
7.3. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს მოსთხოვოს „შემსყიდველს“ შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
7.4.1. შეკვეთის მიღებიდან 4 სამუშაო დღის განმავლობაში მიაწოდოს „შემსყიდველს“ შეკვეთის საფუძველზე დამზადებული საშვები.
7.4.2. „მიმწოდებელი“ ვალდებულია უხარისხო საქონლის მიწოდების ან ხმარების პროცესში გამოვლენილი უხარისხობის შემთხვევაში (ფიზიკური დაზიანების გარდა) შეცვალოს იგივე სახის და ფასის ხარისხიანი საქონლით.
7.4.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2012 წლის 10 იანვრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები "შემსყიდველი" ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით.
გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების შეცვლისას „მიმწოდებელი" ვალდებულია ამის შესახებ წერილობით აცნობოს „შემსყიდველს". იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი" არ დაეთანხმება გაზრდილ ღირებულებას, მას უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

13.1. „შემსყიდველი" უფლებამოსილია განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის" მოთხოვნებთან.
13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს კოორდინატორი (ოფისის მენეჯერი).
13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „შემსყიდველი" დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს" წუნდების მიზეზების მითითებით.
13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს", საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“	შპს „ლოჯიქალ სისტემზ კომპანი“
ქ. თბილისი. ბარათაშვილის ქ. №2 ტელ. 240-14-20 სს „საქართველოს ბანკი“ ც/ფილიალი ბანკის კოდი BAGAGE22 ა/ა GE61BG0000000168285400 საიდენტიფიკაციო კოდი 205170036	ქ. თბილისი, გლდანის მე-4მკრ/რ-ნი, კორპ. №106/3. ტელ: 255 44 88 / 214 24 93 სს „ბანკი რესპუბლიკა“ ბანკის კოდი: REPLGE22 ა/ა: GE50BR0000010170330500 საიდენტიფიკაციო კოდი: 200242816
გენერალური დირექტორი ირინა მილორავა	დირექტორი თეიმურაზ მიხანაშვილი